სახალხო გაზეთი

№ 1031 ხუთშაბათი, 31 ოქტომბერი 1913 წ. № 1031

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი იქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „რექტიფიკატ" (დ. ზ. სარაჯიშვილის ფირმით მოვაჭრე)

ურჩევს იყიდონ ახლად გამოშვებული არაყი სახელით: „რექტიფიკატ", რომელიც დამზადებულია პურის გაწმენდილ სპირტისაგან, საუკეთესო ღირსებისაა და საგანგებოდ გაწმენდილია. ეს არაყი იყიდება ყველგან. 1522

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დასრულებამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **2 მ. 25 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 16—6.

ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ

ვასო აბაშიძის საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე:

უპრეტენზიო კომედია ანუ მოსაქმე ბიუროკრატნი

ზარჯი 3 მოქ. თხზ. გ. შალიკაშვილისა.

მეჯლისი იტალიელებთან,

ოპერეტა 1 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

მუსიკა ოფენბახისა. მონაწილეობას იღებს აგრეთვე ახალი კლუბის ორკესტრი პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

მონაწილ. იღებენ ქ-ნნი: აბაშიძისა, ასათიანისა, დავითაშვილი, თოიძისა, მდივანი, პიერეტა, საღარაძე, შოთაძისა, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილისა. ბ-ნნი: აბაშიძე, გომელაური, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, საფაროვი, ცაციშვილი, ურუშაძე, ხონელი, შალიკაშვილი.

დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი გ. შალიკაშვილი. ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად. 1533.

გ ო რ ი

ადგილობრივ საკრებულო დარბაზში

შაბათს, 2 ნოემბერს,

მგოსან **აკაკი წერეთლის** მონაწილეობით გაიმართება **სალიტერატურო-სამუსიკო**

საღამო-მეჯლისი

სამ განყოფილებად: **ს. დადიანი** წაიკითხავს ქართულად **ლექციას: ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა მე-XIX საუკუნეში.**

——✦ **მგოსანი აკაკი წაიკითხავს ახალ პოემას:**

რაჭა-ლეჩხუმი ✦——

მსახიობი **გ. ურუშაძე** წაიკითხავს გურულ სცენებს, **გ. ქუჩიშვილი**—ლექსებს, **ს. ფაშალიშვილი**—ლექსებს, **მომღერალი დ. აკოფაშვილი** იმღერებს ქართულ-რუსულ რომანსებს, ქ-ნი **თამ. გაბ. ღვინიაშვილი** დაუკრავს აკომპანიმენტს როიალზე, **მომღერალთა გუნდი** შეასრულებს ქართულ სიმღერებს **ე. ხუციშვილის** ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება საქალაქო აფთიაქში **ი. კვალიაშვილთან, ა.** კალანდაძის წიგნის მაღაზიაში. სამეფო ქუჩაზე **ქ-ნ ეფ. ზუნზურიშვილთან,** და **სან. გძელიშვილთან.**

გამგე საღამოსი **ალ. ივ. მელიქიშვილი,** ადმინისტრატორი **ს. გძელიშვილი.**

დასაწყ. სალ. 8-ნახ. ს. 1561

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 31 ოქტომბერს, 191 წ. გაიმართება

დიდი წარმოდგენა

ბენეფისი ჭიდაობის ხელმძღვანელისა ვ. ი. კრუჩინინისა

მე-9 დღე გამოჩენილ ფალავანთა ფრანგულ **ჭიდაობისა.** ეს ჭიდაობა მოწყობილია პეტერბურგის „ვესტნიკ სპორტის" რედაქციისაგან და მოხდება თვით რედაქტორის **ნ. ი. მეტროვის** ხელმძღვანელობით. დღეს ჭიდაობენ: **პაული და პიერი, კავკასიური** ჭიდაობა. პრემიათ დანიშნულია 25 მ. **ხალი სულეიმანი და ვანთ ბარადინიანი, მახკა და სეპკინი, კოსტა მჭისურაძე და ზანგი საიერი ბერნარდი და ლუკა კოპიევი.** ჭიდაობა დაიწყება 9-ნახევარ საათზე, თავდება 11 საათზე

759 დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების წლიური კრება

მოხდება 14 გიორგობისთვეს, ხუთშაბათს, „ახალი კლუბის" დარბაზში. განსახილველი საგნები: 1) განხილვა და დამტკიცება 1912 წლის ანგარიშისა, 2) გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ საანგარიშო წლის განმავლობაში, 3) გამგეობის შედგენილ ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება, 4) 1913 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავალი, 5) ახალ წევრთა მიღება.

კრება დაიწყება შუადღის 12 საათზე. 1564.

აგენტმა ივანე გრიგოლის ძემ ხალათიანმა

ავადმყოფობის შემდეგ **განაახლა** განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მიხეილის პრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493

ხეხილების გასხვლა.

ს. ს. ხეთაგურის სანერგე

მსურველთ აწვდის გამოცდილ მებაღეებს ხეხილის გასახსვლელად. ცნობების მისაღებად მიმართვა შეიძლება წერილობით: ტფილისი, ს. ს. ხეთაგურის სანერგე.

Тифлисъ, питомники С. С. Хетагури. 1560

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

გ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა შეთანხმებული სპეციფიური **ტუბერკულინური** წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. **რენტგენის ელვასხივური სხივებით ფილტვებისა და გულის გამოკვლევა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქნიაზევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 580.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი გ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. ვ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—$1^1/_2$ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. **ფედოროვი ვ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათინიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2$—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606"-და „914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

შრომა და ნაწარმოები

დ. ი. არაყიშვილისა:

ქართული სიმღერების კრებული სკოლებისთვის, ქართული მუსიკის წიგნები, ქართული სიმღერები ფ. პ. დასამღერებლად, რომანსები და სახორო სასიმღეროები რუსულსა და ქართულ ენაზე იყიდება ყველა წიგნისა და მუსიკის მაღაზიაში. 356

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ხიდთან № 23—24,

მიღებულია ახალი საქონელი.

სეზონის შემდეგ გადარჩენილი საქონელი ძლიერ იაფ ფასებში. იყიდება საფაბრიკო ფასების 30% დაკლებით. დარწმუნებულნი ვართ, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან. აქვე შეიძლება შეკვეთა.

მიღებულია დიდი წყება დამზადებული ტანისამოსისა.

მამაკაცთათვის, ქალებისათვის და ბავშვთათვის. აგრეთვე მამაკაცების „კოსტიუმები" და ქალების კაბები და კოფთები ცალ-ცალკე.

1491 პატივისცემით **ძ-ნი პორტუგალოვისა.**

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

მოსწიეთ ახალი

პაპიროსები

ჩ ა ი კ ა

10 ცალი 3 კაპ. 20 ცალი 6 კაპ.

ამხ.

კომეტა.

1497

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკაძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

ზ. ა. [illegible]. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით 1462

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ექიმი **გ. მ. ღოღობერიძე** ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 1—3 საათამდე. საბებიო და ქალის ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

ექიმი **ი. ზ. გძელიშვილი** სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., 5—7 სათ. საღამოს 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

დ ო ქ ტ ო რ ი

ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობ. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—$7^1/_2$ ს. კვირაობით 11—12 საათამდე ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12 –25. 751

ექიმი **პ. ლ. ქიქალიშვილი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს $5^1/_2$ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—$11^1/_2$ ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

გორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

ზამაზი. სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

გრიგორიანი ქირურგ. ავადმყ ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

ანპილოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ატენანცია ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალაშკაროვი. ბებია, ქალური სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

სახელმწიფო სათათბირო

29 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **როძიანკო**, შემდეგ **თავ. ვოლკონსკი.**

განსახილველად შემოსულ საქმეთა შორის არის მოსაზრება ექსპერტების მოწვევისა და დაჯილდოვების წესის შეცვლის თაობაზე და შეკითხვა გზათა მინისტრისადმი ამ ბოლო დროს რკინის გზაზე გახშირებულ კატასტროფების გამო, აგრეთვე შრომის ჯგუფის შეკითხვა მოსკოვში ნოქართა მეოთხე კრების უკანონოდ დახურვის გამო. დაამტკიცეს პოლტავისა, კალუგისა, ხერსონისა და რიაზანის გუბერნიის სათათბიროს წევრების დამატებითი არჩევნები. გადაიდო მოხსენების წაკითხვა ოდესაში დამატებითი არჩევნების დანიშვნის თაობაზე. პირველ კურიის არჩევნები, რომლის დროს ეპისკოპოსი ანატოლი იყო არჩეული, გაუქმდა.

სალაზკინი მოახსენებს სათათბიროს, რომ საბიუჯეტო კომისამ სასურველად სცნო საკანონმდებლო მოსაზრება პოლონეთში მდებარე ნადელის გარეშე მყოფ მიწების დასაზომავად ფულის გადადების თაობაზე. მინისტრის ამხანაგი **ლიკოშინი** აცხადებს, რომ მთავრობა თანაუგრძნობს ამ საქმეს, ზამთარში შეიმუშავებს კანონს და შემოდგომაზე შესაძლებელი იქნება მიწების ვერსობით გაზომვა. კანონმდებლობითი მოსაზრება სათათბირომ სასურველად აღიარა.

სათათბირო განიხილავს შეკითხვას, რომელიც მინისტრთა თავმჯდომარისადმი არის მიმართული. შეკითხვის ავტორნი მიმართავენ მინისტრთა საბჭოს: მართალია თუ არა გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა, რომ მინისტრთა საბჭოს გადაეწყვიტოს ძირითად კანონების მე-65 მუხლის შეცვლა.

გრონსკი: გაზეთებში ცნობა იყო, რომ სინოდის ობერ-პროკურორი აპირებს საკანონმდებლო დაწესებულებას წაართვას მთელი რიგი საქმეთა გარჩევის უფლება, რაც ძირითადი კანონებისა და სათათბიროს უფლებათა შელახვას წარმოადგენსო. არავის უფიქრია ეკლესიის უფლებას შეეხოს, ხოლო უნდა გავარჩიოთ საკანონმდებლო აქტები, ეკლესიის საგამგებლო აქტებისაგან. ეკლესიის მართვის საქმე კანონებს უცილობლივ უნდა დაუქვემდებარონ. ვითომ ეკლესიის დამოუკიდებლობისთვის სურთ სათათბიროს ჩამოაცალონ საეკლესიო საქმეების გარჩევის საქმე, ხოლო ეგეთი საქმეები მინისტრთა საბჭოში შეაქვთ. არავითარი საეკლესიო კანონმდებლობა, გარეშე სახელმწიფო კანონმდებლობისა, არ არსებობს.

კოვალევსკის აზრით, თუ ეგეთი დადგენილება არსებობს, პირდაპირი დარღვევაა საკანონმდებლო პალატის უფლებისა და დაგმობილი უნდა იქმნეს.

სკობელევის აზრით აქ არაფერია გასაკვირველი. მე-65-ე მუხლის შეცვლის სურვილი ლოღიკური ნაბიჯია 3 ივნისის აქტის განვითარებისა.

გოდნევი დაწვრილებით ეხება სინოდის განზრახვას ძირითადი კანონების გვერდის ახვევის გამო, არჩევს კანონებს, მოიგონებს სინოდის დაწესების ისტორიას, სინოდი მართლმადიდებელთა უწყებაა, რომელსაც სათავეში მოხელე ობერ-პროკურორი უდგას. სინოდი არას დროს არა ყოფილა კანონმდებელი; სინოდის საქმეები შემდეგშიაც სათათბიროს უნდა დაუქვემდებარდეს. ძირითადი კანონების მე-65-ე მუხლი ახალი არ არის, ის პეტრე დიდის რეგლამენტშიაც იყო. ძირითადი კანონების ძალით არა თუ ახალი კანონები, არამედ ძველი კანონების შეცვლა მხოლოდ საკანონმდებლო პალატების: სათათბიროსა და საბჭოს საქმეა. ვერც ერთი კანონი ვერ განხორციელდება თუ სენატის მიერ არ იქმნა გამოქვეყნებული. ხოლო სენატს ნაბრძანები აქვს, გამოაქვეყნოს მხოლოდ საკანონმდებლო პალატების მოწონებული კანონები. თუ ხმები მართალი გამოდგა, სათათბიროს უმრავლესობამ სინოდის ობერ-პროკურორის უკანონო მოქმედება უნდა აღიაროს, რასაც შედეგად ხელმწიფისადმი მოხსენება უნდა მოჰყვესო.

მღვდელი პოკროვსკი. საკითხი უადგილო და უდროვოა, რადგან ეგეთი დადგენილება ჯერ არ არსებობს. **ლვოვი მეორე** ემყარება მესამე სათათბიროში წარმოთქმულ სტოლიპინისა, ოქტომბრისტებისა და კადეტების სიტყვებს და ამტკიცებს, რომ ორივე ფრაქცია მაშინ საჭიროდ სთვლიდა საეკლესიო კანონმდებლობასაო. ორატორი არ ეთანხმება გოდნევს. რეგლამენტი სინოდს პირდაპირ მეფეს უქვემდებარებს. ბევრი კანონის დასახელება შეიძლება, რომელსაც სახელმწიფო საბჭოს გარეშე, პირდაპირ მეფე ამტკიცებდა (ტაში მარჯვნივ).

ეპისკოპოსი ანატოლი აღნიშნავს, რომ სინოდის საკანონმდებლო უფლება არავის არ უარუყვია. კანონებში არ არის განსაზღვრული უმაღლეს საკანონმდებლო პალატათა და სინოდის უფლებაო. თუ მინისტრთა საბჭომ ამ დეფექტის გასწორება მოინდომა, უკანონობა სრულიადაც არ არისო.

გრონსკი უპასუხებს ლვოვ მეორეს და ამბობს, რომ სასულიერო რეგლამენტი საერო მთავრობის ქმნილებაა, სასულიერო რეგლამენტი გადაჭრით ამოწმებს, რომ სინოდი მეფის დაუმტკიცებლად ვერც ერთს კანონს ვერ გამოსცემს. 1905 წლიდან საკანონმდებლო უფლება ეკუთვნის სათათბიროს საბჭოს და სხვას არავის.

ტიტოვი პროგრესისტების სახელით აცხადებს, მთავრობის განმარტება აუცილებელ იყო.

მარკოვი მეორე: სათათბირო მკითხავ ქალს დაემსგავსა და რაღაც ჭორებზე მკითხაობსო.

შეინი ნაციონალისტების სახელით აცხადებს, რომ ვერ შეურიგდება შეკითხვას, რადგანაც შეკითხვის ავტორთა მოტივებს ვერ ეთანხმება. ლვოვს უპასუხებენ: მილიუკოვი, გოდნევი და კოვალევსკი. 219 ხმის უმრავლესობით 50 წინააღმდეგ შეკითხვა მიიღეს.

(დასასრული ხვალ)

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენლად** კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრებისთვის არჩეულია თავად-აზნაურობის დეპუტატი გ. ი. თულაშვილი.

◆ **ვერის პარკის** პირდაპირ მტკვარზე საცალფეხო ხიდის გასაკეთებლად ქალაქის საბჭომ 15,000 მან. გადასდო. გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, შეაჩეროს ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

◆ **გამოფენა.** განზრახულია, ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მოაწყონ მოძრავი სასოფლო-სამეურნეო გამოფენები.

◆ **ქალაქებმა ეისკმა და კისლოვოდსკმა უარი განაცხადეს** კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრებაში მონაწილეობის მიღებაზე.

◆ სახალხო უნივერსიტეტში. კვირას, 3 ნოემბერს, **ავლაბრის თეატრში** შ. ქარუმიძე ქართულად წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ჭონქაძე“. ლექციის შემდეგ გაიმართება საკონცერტო განყოფილება; 50 ქალვაჟისაგან შემდგარ ხორო შეასრულებს ხალხურ სიმღერებს. ამავე დღეს **სახალხო სახლში** ნ. სპილიოტი წაიკითხავს ლექციას „ძველი ქვეყნის“ შესახებ. ლექციას ჩართული ექნება ბუნდოვანი სურათები. დასაწყისი დილის 11 საათზე.

◆ **შემწეობა** ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდან შემწეობას თხოულობენ: კავკასიის მეხილეობის საზოგადოება-3-000 მან., ხოლო ფრინველთა მომშენებელი საზოგადოება-1,000 მან.

◆ **წყლის მანქანა.** საგუბერნიო სამეურნეო, თათბირმა საჭიროდ აღიარა, გადაიდოს საერობო თანხიდან 10,000 მან. საბაღოსნო სკოლისთვის წყლის მანქანის დასადგმელად.

◆ სამეურნეო ჟურნალ „მოსავალი“ს რედაქციას თ-დ ანტონ ფალავანიშვილისაგან, თანახმად რედაქციის თხოვნისა, მოუვიდა მშვენივრად შესრულებული **გერბარი ბალახეულ-მცენარეულობისა,** ქართულად სახელების ზედ-წარწერით. გერბარი შეიცავს 80 და სხვა და სხვა ჯიშის ბალახ-მცენარეს. „მოსავალი“-ს რედაქციამ ალმობის გასამართავად უკვე შეუკვეთა კარდონის ყუთები, ზემოდან შუშა წაკრული, ამ მცენარე-ბალახების ცალ-ცალკე ჩასაწყობად.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებაში.** გამგეობამ უკვე გაანაწილა ლექციები ყველა კვირაუქმე დღეებისთვის 17 ნოემბრამდე და სახალხო სახლიც დაიქირავა. 17 ნოემბრიდან ლექციების კითხვა მცირე ხნით შესწყდება, რადგანაც ამ დღეს სახალხო სახლში კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრება იწყება. კრების დასრულების შემდეგ გამგეობას აზრად აქვს, ერთ ერთს კვირა დღეს საზოგადოების ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად აწეულის ფასით მრავალმხრივ პროგრამიანი დილა გამართოს საკონცერტო განყოფილებით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ოპერისა და დრამის მსახიობნი და ქალთა გუნდი. გამგეობა აგრეთვე აპირობს, ვლ. კოროლენკოს საიუბილეო დილა გამართოს.

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში** დღეისთვის საზოგადოების საბჭოს წევრთა კრება დანიშნული. საბჭოს განსახილველი აქვს შინაური, საორგანიზაციო საქმეები, ამიტომ კრება გარეშე ხალხის დაუსწრებლად მოხდება.

მოკლე ხანში კახეთს გაემგზავრება საზოგადოების მიერ არჩეული კომისია, რომელსაც თან წაჰყვებიან: სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ს. ნ. ტიმოფეევი და მიწის ნიადაგის გამომკვლევი სპეციალისტი კალინინი. კომისიამ უნდა დაათვალიეროს მუკუზანისა და იყალთოს მამულები, რომელსაც უკვე ჰბარავენ ორ პირად. უნდა დაჰბარონ ექვსი დესეტინა და შიგ უნდა ჩაჰყარონ სახეგეები საძირე (მწარე) და ნამყენ ვაზებისა- აგრეთვე უნდა გააშენონ სადედე ვენახები. სამუშაოს გეგმა უკვე ვათვალისწინებულია. კომისიამ უნდა გადასწყვიტოს: რა და რა ჯურის ვაზი უნდა ჩაიყოს და რომელს ადგილას.

◆ **საკოოპერაციო დაწესებულებათა წარმომადგენლების მეორე კრების** მოწვევის თაობაზე 29 ოქტომბერს მსჯელობა ჰქონდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. კრების მოწვევა ნავარაუდევია მომავალ წლის შემოდგომაზე. გამოირკვა, რომ ამგვარივე კრების მოწვევა განზრახული აქვს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასაც. ამ უკანასკნელ საზოგადოების თანახმად, საბჭომ საჭიროდ აღიარა კრება შეერთებულის ძალით მოიწვიოს. საორგანიზაციო კომიტეტის შედგენის თაობაზე ორივე საზოგადოება ახლავე შეუდგება.

◆ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ თავის მორიგ კრებაზედ ამა წლის 26 ოქტომბერს ფეხზედ ადგომით პატივი სცა განსვენებულ ქალანთარის ხსოვნას და დაადგინა: ნაცვლად გვირგვინისა 25 მან. შესწიროს განსვენებულის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად და მთელის შემადგენლობით დაესწროს მის დაკრძალვაზედ.

◆ კაზმულ ხელოვნების წამახალისებელმა კავკასიის საზოგადოების გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე, დაადგინა, თავის წევრთა ხელოვნურ ნაწარმოებთა აუქციონი გამართოს, აუქციონი გაიხსნება 17 ნოემბერს საზოგადოების სადგომში (გრიბოედოვის ქ. № 24, არშაკუნის ყოფილს სახლში) სადაც გამოფენილი იქნება ყველა საუქციონო ნაწარმოები. მათ შორის იქნება ბევრი საინტერესო სურათი, როგორც საღებავით, ისე აკვარელით ნახატი.

სასწავლებლებში

◆ **საბაღოსნო სასწავლებელში.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრებას, რომელიც 29 ოქტომბერს მოხდა, საბაღოსნო სკოლის გამგემ პ. გ. მელიამ წარუდგინა სასწავლებლის პედაგოგიო საბჭოს მიერ შედგენილი მოხსენება. მოხსენების ავტორნი საბჭოს წინადადებას აძლევდნენ, მოესპოთ მოწაფეებისათვის საზოგადოების ხარჯით ზემო ტანსაცმელის ყიდვა იმ 150 მანეთში, რომელსაც მოწაფენი ყოველ-წლიურად იხდიან. მოხსენება დასაბუთებული იყო სხვა და სხვა მოსაზრებით და განსაკუთრებით იმ აუტანელ ნივთიერ ხელმოკლეობით, რომელსაც სასწავლებელი განიცდის. საბჭომ წინადადება უარჰყო და საჭიროდ სცნო, ის ფული, რაც ტანისამოსებზე იხარჯება, სხვა გზით იქმნეს მოპოვებული.

ქუთაისი.

◆ 27 ოქტომბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც 30-მდე კაცი დაესწრო. განხილულ და დამტკიცებულ იქმნა საზოგადოების მოქმედების 8 წლის ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს, საანგარიშო დროს განმავლობაში საზოგადოებას ჰქონია შემოსავალი სულ 8624 მ. 8 კ., გასავალი კი 9913 მან. 20 კაპ. საზოგადოებას ჰყოლია 33-მდე პენსიონერი, რომელთაც ყოველთვიურად აძლევდა 2—3 მანეთს; გარდა ამისა, საშობაოთ, სააღდგომოთ და აგრეთვე წლის განმავლობაში ღარიბებს ეძლეოდათ თურმე ერთდროული დახმარება. ხსენებული საზოგადოება ქუთაისში არსებულ საზოგადოებათა შორის უმდიდრესად უნდა ჩაითვალოს: მას აქვს ფულად 6,000 მანეთამდე და მასთან ადგილი, ღირებული არა ნაკლებ 15—16 ათასი მანეთისა.

მოსმენილ იქმნა აგრეთვე სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც წინადადებას აძლევდა კრებას დაევალებია კომიტეტისათვის, რომ შეავსოს ის 521 მან., რომელიც მას მიმდინარე ხარჯების დასაფარავად უსესხებია საავადმყოფოს ასაშენებელ სპეციალურ თანხიდან. კომისიის წინადადებით კრებამ მადლობა გამოუცხადა საზოგადოების მდივანს დ. ნ. ავალიანს, რომელსაც დიდი შრომა გაუწევია საზოგადოების სასარგებლოდ და სამაგალითოდ უწარმოებია შემოსავალ-გასავლის წიგნები.

კრებამ მსჯელობა იქონია საზოგადოების ადგილის გაყიდვის შესახებ. გამოითქვა ის აზრი, რომ კერძო პირთ ადგილი არ მიეყიდოს. რაც შეეხება ადგილის მიყიდვას რომელიმე ჩვენი დაწესებულებისათვის, კრებამ დაადგინა: დაევალოს საზოგადოების კომიტეტს შეკრიბოს ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ დაწესებულებას რა პირობით სურს ადგილის ყიდვა, და მომავალ საზოგადო კრებას წარუდგინოს თავისი მოხსენება ამ ადგილის გაყიდვის შესახებ.

დასასრულ მოხდა საზოგადოების კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ისევ ა. ბ. ლორთქიფანიძისა; მისი თანაშემწედ—მ. ბ. ლორთქიფანიძისა; მდივნად, ნაცვლად დ. ნ. ავალიანისა, რომელმაც დროს უქონლობის გამო დარჩენაზე უარი განაცხადა,—ს. გ. წერეთელი. კომიტეტის წევრებად: ნ. ა. ჩარექოვისა, დ. ო. ნიჟარაძე, ვ. ი. ქილაძე და ლ. ა. ჩიმაკაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: დ. ნ. აბდუშელიშვილი, ი. გ. ჩიმაკაძე და პ. ი. ყიფიანი.

◆ ქალაქის საბჭომ უკანასკნელ თავის სხდომებზე დაადგინა: ა) შეწყვეტილ იქმნეს ი. ი. დადიანთან და ა. ს. კანცელთან დამოკიდებულება ქუთაისის წყალსადენის გაკეთების

ჩატეხილი ხიდი

ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ დიდხანს იდგება გამოუცნობელ სფინქსად შთამომავლობის თვალ-წინ. გამოუცნობელია იგი არა იმიტომ, რომ მისი პოეტური შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა რაიმე მიუწდომელ საიდუმლოებას შეადგენდეს, არამედ იმიტომ, რომ დროთა მსვლელობით ახალ-ახალი შუქი ეფინება მის მრავალფეროვან მოღვაწეობას და უფრო ცხადდება მისი დიდი პიროვნება. ყოველთვის ასე ყოფილა. ილია ჭავჭავაძესაც ასე დაემართა. ის, რაც მის თანამედროვეთ შეუმჩნევლად რჩებოდა და ზოგიერთს შემთხვევაში კი დიდს წინააღმდეგობასაც იწვევდა, ეხლა, დღეურ ჭირ-ვარამის ჩარჩოებს მოკლებული, ღრმა აზროვნებისა და უკეთილშობილესი სინიდისის ნაყოფად მიგვაჩნია. ჩვეულებრივი, გავრცელებული აზრი ილია ჭავჭავაძის შესახებ გვეუბნება, იგი ნიჭიერი პოეტი იყო, ამასთანავე ერთად ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მებრძოლიო. მაგრამ ილია ჭავჭავაძის დახასიათება სრული არ იქნებოდა, თუ მხოლოდ ამას ვიტყოდით. ილია ჭავჭავაძე მშრალი პუბლიცისტი არ იყო. იგი ბატონ-ყმობას ებრძოდა არა როგორც ყოველი ინტელიგენტი ადამიანი, რომელსაც შეგნებული აქვს მავნებლობა ბატონ-ყმობისა; იგი მთელი თავისი მგრძნობიარე სინიდისით განიცდიდა ამ ინსტიტუტის უზნეობას. მესამოცე წლებში ილია ჭავჭავაძე ღლიმართა დაჩაგრულსა და დამჩაგვრელებს შორის, როგორც მამხილებელი ბოროტებისა, მქადაგებელი. ზნეობრივი ხასიათი მისი ქადაგებისა პირველი და უმთავრესი ახსნელია იმ გარემოებისა, რომ ილია ჭავჭავაძე შეუდრეკელად იდგა თავის პოზიციაზე და სოციალურ მოვლენათა დაფასებაში თავის თანამედროვეებზე გაცილებით შორს მიდიოდა. იმ დროს როდესაც ილია ჭავჭავაძე ბატონ-ყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ იბრძოდა, იგი ამასთანავე ერთად ებრძოდა საზოგადოდ სოციალურ უსამართლობას, რომელსაც გულისტკივილით განიცდიდა მისი ფაქიზი სინიდისი. ბატონყმობა მის წარმოდგენაში იყო მხოლოდ ერთი მხარე სოციალური უსამართლობისა. იგი წინააღმდეგი იყო არა მხოლოდ ბატონ-ყმობისა, არამედ იმ ძირითადი სოციალური უკუღმართობისა, რომელზედაც აშენებული იყო, სხვათა შორის, ბატონყმობაც. ეს რომ დავივიწყოთ, ილია ჭავჭავაძის დახასიათება ცალმხრივი გამოვა და სრული არ იქნება.

ნაწარმოები, რომელშიაც ნათლად იჩინა თავი ილია ჭავჭავაძის ამ მსოფლ-მხედველობამ, არის „ოთარაანთ ქვრივი“. „აჩრდილში“ ილია ჭავჭავაძე იხსენიებს შრომის საუკუნეს. სხვადასხვა ლირიკულ ნაწარმოებშიაც სჩანს ეს მსოფლ-მხედველობა, მაგრამ მხოლოდ „ოთარაანთ ქვრივში“ ჩამოყალიბდა იგი და მხატვრული სახე მიიღო. საუბედუროდ სწორედ „ოთარაანთ ქვრივს“ აუვლიან ხოლმე გვერდით, როდესაც ილია ჭავჭავაძის სოციალურ აზრებზე სწერენ. არიან ისეთებიც, რომელთაც „ოთარაანთ ქვრივი“ ილია ჭავჭავაძის აზროვნების დაცემის მომასწავლებლად მიაჩნიათ. ვრცელდება აზრი, თითქოს „ოთარაანთ ქვრივი“-ს დაწერამდე, ილია ჭავჭავაძე ანგარიშს უწევდა ცხოვრებაში არსებულ სოციალურ განხეთქილებას და „ოთარაანთ ქვრივში“ მან მოისურვა წოდებათა შორის ხიდის გადება და დაჩრდილვა იმ უფსკრულისა, რომელიც წოდებათა შორის არსებობს. აი, რასა სწერს, მაგალითად, ბ-ნი მ. წულუკიძე „ოთარაანთ ქვრივი“-ს შესახებ: „ოთარაანთ ქვრივი“-ს ილია წინანდელი აღარ არის—ის საზოგადოებრივად განთავისუფლებულ კაცს აღარ ექომაგება, მისი ინტერესების წინანდელი მედგარი დამცველი ჰკარგავს თავის „მე“-ს და საზოგადოების ზედაპირის ნამდვილ შვილად გვეჩვენება. თუ აქამდის ილია ბრძოლის მქადაგებელი, ინტერესთა წინააღმდეგობის მომხრე იყო, ეხლა ის ორგანიულ მთლიანობაზე, ბრძოლის უარყოფაზე ლაპარაკობს, წოდებათა შუა ძმობა—ერთობის ჩამოგდებაზე ჰლაღადებს. ამ დროის ილია ჭავჭავაძე თავის წინანდელი პრინციპების უარის-მყოფელია, ჭეშმარიტი დემოკრატიზმის მოწინააღმდეგეა. თუ ხელოვანი—ილია მთლიანია, ილია—მოაზროვნე ასეთი არ არის საზოგადოებრივ მიმართულების მხრივ“..

დაახლოვებით ასეთსავე აზრებს გამოსთქვამდა თავის ლექციებში ბ-ნი პ. გელეიშვილიც. როგორც სჩანს, ერთხელ ზეპირად თქმული, სრულიად დაუსაბუთებელი შეხედულება, ვრცელდება და ამით დიდი ზიანი ადგება ილია ჭავჭავაძის გაგებას. ჩვენის აზრით, ზემოხსენებული მოსაზრება „ოთარაანთ ქვრივი“-ს შესახებ არამც თუ მართალი არ არის, პირ-იქით, სრულიად დიამეტრალურია იმისა, რასაც ილია ჭავჭავაძე ამ შესანიშნავ ნაწარმოებებში გვეუბნება. „ოთარაანთ ქვრივში“ კი არ დაირღვა მთლიანობა მოაზროვნე ილიასი, პირ-იქით, სწორედ ამ ნაწარმოებში გამოჩნდა მისი მთლიანობა, სწორედ ამ ნაწარმოებში გამოაშკარავდა ფაქიზი სინიდისი ღრმად მოაზრე ილიასი. განხილვა ამ ნაწარმოებისა დაგვანახვებს, რამდენად უსამართლოა იმისი თქმა, თითქოს ილიას „ოთარაანთ ქვრივში“ თავის პრინციპებისთვის ეღალატოს. მაგრამ, სანამ თვით ნაწარმოების განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე წინასწარი მოსაზრება გამოვსთქვათ. ბ-ნი მ. წულუკიძე და მასთან ერთად ბევრი სხვაც ამბობენ, თითქოს ილია ჭავჭავაძე წოდებათა შორის მთლიანობის დამყარებას ჰქადაგებდეს. ეს მართალი არ არის. ილია ჭავჭავაძე ჰქადაგებს პიროვნების მთლიანობას, რასაც ხელს უშლის ცხოვრებაში გამეფებული სოციალური უთანასწორობა. მთლიანი პიროვნება ილია ჭავჭავაძის იდეალია. მაგრამ ვისთვის არ არის იგი იდეალი? სოციალური უსწორ-მასწორობის მოსპობა თავისთავად არავისთვის არ შეიძლება იდეალად იქცეს. დღემდის შენა სჭამდი ბევრსა, ეხლა მეც მინდა ვჭამო. არიან ისეთებიც, რომელთა თვალში სოციალიზმს მხოლოდ ასეთი ფასი აქვს. სოციალიზმი რომ მხოლოდ ჭამის საკითხი იყოს, იგი თავის მიმზიდველობის ნახევარს მაინც დაჰკარგავდა. სოციალური სამართლიანობის დამყარება, სიმდიდრის თანასწორი განაწილება მხოლოდ აუცილებელი ეტაპია, აუცილებელი პირობაა უმაღლეს იდეალის—მთლიანი პიროვნების—მისაღწევად. სწორედ ამ მთლიან პიროვნებას ეტრფიალება ილიაც.

ბატონ-ყმობა ერთი იმ უსაშინელესი ბორკილთაგანი იყო, რომელსაც ათასი წლობით დატყვევებული ჰყავდა პიროვნება. დაიმსხვრა ბორკილი, მოისპო ბატონ-ყმობა. მოისპო ამით პრობლემა? არა, ილიას წინ კვლავ ახალი პრობლემა აღიმართა. მან, როგორც მგრძნობიარე სინიდისის პატრონმა, როგორც მთლიანმა მოაზროვნემ, ერთბაშად დაინახა, რომ ბატონ-ყმობის მოსპობით ჯერ კიდევ არ განხორციელებულა იდეალი. განთავისუფლდა კაცი, იგი თავისუფალ გლეხად იქცა, მაგრამ თავადსა და გლეხს შორის ხიდი მაინც ვერ გაიდო. ამ აზრის ილიუსტრაციაა შესანიშნავის ხელოვნებით დაწერილი „ოთარაანთ ქვრივი“.

⁂

ოთარაანთ ქვრივის შვილს გიორგის შეუყვარდა აზნაურის ქალი. მოჯამაგირედ დაუდგა არჩილს, რომ „ცისმარე დღეს მზეს უყუროს“. მზე არჩილის და კესოა. უბედურმა შემთხვევამ თან გადაიტანა გიორგი; მან მხოლოდ სიკვდილის წინ გაუმხილა თავისი გრძნობა კესოს, რომელიც ისევე მიუწდომელი იყო გიორგისთვის, „როგორც „ცის ვარსკვლავი“. განთავისუფლებულ გიორგისა და კესოს შუა ჩატეხილი ხიდი აღმოჩნდა. თვით არჩილის მსჯელობა ამ საგნის შესახებ იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია ვრცლად მოვიყვანოთ. აი, რას ეუბნება ამის გამო არჩილი კესოს:

„ჩვენ შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დარჩნენ, ჩვენ აქედ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისთვის ველარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზე კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტუღლაპი რამ.. ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ (გლეხებს, ა. ჯ.), არა სჯერათ. ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოვებათ. რადა და რისთვისაო? იკითხავენ ხოლმე. კეთილისათვის? რად მიზამს კეთილსაო, ჩემო რაოვო? და აი სწორედ აქ არიან მართალნი. მართლა და ჩემო რაოვო? ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვა და სხვა ქვეყანაა. შორ-შორსა ვართ—მეთქი“.

სად არის აქ წოდებათა შორის თანხმობა? პირ-იქით, მათ შორის ხიდია ჩატეხილი. ეს ჩატეხილი ხიდი ფაქტია, რომელსაც აღბეჭდავს ილია თავის ნაწარმოებში. იგი შეუძლებლადა ჰხდის ორ ახალგაზდა არსების შეერთებას, შეუძლებლადა ჰხდის სიყვარულს ადამიანთა შორის. სიყვარული, დასაბამი სიცოცხლისა, სიხარულისა და ბედნიერებისა, შეუძლებელი ჰხდება ადამიანთა შორის, რადგანაც ერთი ხიდს გაღმა არის და მეორე ხიდს გამოღმა.

როგორი უნდა იყოს მომავალი? ერთთავად ჩატეხილი უნდა იყოს ხიდი, თუ ერთხელაც არის გამთელდება და შეიქმნება ახალი პირობები ცხოვრებისა, როდესაც სიყვარულსა და ნიჭს ფართო გზა მიეცემა. ილია ჭავჭავაძე არჩილის პირით გვეუბნება, რომ ჩატეხილი ხიდი უნდა გამთელდეს, უნდა მოისპოს უფსკრული, რომელიც ადამიანს ადამიანისაგან აშორებს. როდესაც კესომ ტირილი დაიწყო, არჩილმა უთხრა: „შენი ტირილი მიხარიან... მეც ვიტირებდი, რომ მარტო უკან-და ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ, იქ, უკან, ბნელა... ღამეა“... არჩილს იმედი აქვს ჩატეხილი ხიდის გამთელებისა, რადგანაც კესოსავით მარტო უკან კი არ იხედება, სადაც წყვდიადია, არამედ წინ. წარსულში მისი აზრი ჩატეხილი ხიდისა და წყვდიადის მეტს ვერაფერსა ჰხედავს; იგი წინ იხედება და, მაშასადამე, მომავალის იმედი აქვს. აქ ილია ჭავჭავაძე, მიუხედავად იმისა, რომ გარემოცული სინამდვილე სიბნელითაა მოცული, მაინც ჰპოვებს ნუგეშს და ჰსწამს, რომ მომავალში ჩატეხილი ხიდი გამთელდება.

როგორ და რანაირი საშუალებით უნდა გამთელდეს ეს ხიდი? გვეუბნებიან, ილია ჭავჭავაძე წოდებათა სოლიდარობას ჰქადაგებდა და ვერა ჰხედავდა, რომ იქ, სადაც კლასიკური ანტაგონიზმია, სოლიდარობაც არ შეიძლება იყოსო. მაგრამ საქმეც ის არის, რომ თვით ილია ჭავჭავაძესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ კონცესიური წესით; ბ) წყალსადენის, ელექტრონული სადგურის, განათების, ტრამვაისა და სხვა მუნიციპალური საქმეების გაკეთება მოეწყოს ოჯახური წესით; გ) ხსენებული საქმეების განსახორციელებლად ქალაქმა ითხოვოს 5 პროცენტიანი ობლიგაციური სესხის ნებართვა; სესხის რაოდენობა იქნება 2,275,000 მანეთი.

◆ გაზეთ „იმერეთი“, № 176 სახელმწიფო სათათბიროს შესახებ წერილის გულისთვის, 300 მანეთით დააჯარიმეს. რადგანაც რედაქტორმა ფული არ შეიტანა იგი დააპატიმრეს. ამავე გაზეთის № 177 (კვირა, 27 ოქტომბერი) პოლიციამ დააკავა. „იმერეთი“ დაიხურა.

◆ **ახალი გამოცემა.** პირველ ნოემბრიდან ქუთაისში გამოვა ახალი ქართული ყოველდღიური გაზეთი „ერი“.

◆ გუშინ ბეილისის გამართლების ცნობამ ქუთაისში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ებრაელების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ მათი სიმართლე ერთხელ კიდევ დამტკიცდა.

◆ ქალაქის თავმა, საქმის მწარმოებლის თანაშემწეს ბახტაძეს დაავალა რევიზია გაუწიოს გამგეობის არხივის სამი წლის ოქმებს და სხვა და სხვა მიწერ-მოწერას.

ბაქო

◆ „წყაროს“ ყოფილ რედაქტორ-გამომცემელს სოლომონ კაშიას უკვე ჩააბარეს საბრალმდებლო ოქმი. ის „ჩვენ წყაროში“ მოთავსებულ დ. მეჩონგურეს ლექსის „კაპიტალის“ გამო პასუხის გებაშია მიცემული 129 მუ. ძალით.

ფოთი

◆ ქალაქის პოლიციის უფროსმა ქალაქის თვითმართველობა, იმ ხარჯებიდან გაანთავისუფლა რომელიც მას უნდა ეძლია რამდენიმე მაძებარ პოლიციის შესანახად.

◆ ქალაქის დასაცავად ჩამოიყვანეს რამდენიმე ათეული დარაჯი.

◆ ადგილობრივ ინტელიგენტთა ჯგუფმა დაადგინა კვლავ აღადგინოს სახალხო უნივერსიტეტი.

ოზურგეთი

◆ პარასკევს, 25 ოქტომბერს, მურად ქარცივაძემ და ორმა მისმა ამხანაგმა სასიკვდილოდ დასჭრეს შავიშვილი. მიზეზი მკვლელობისა არ იციან.

— ქალაქის აფთიაქის შენობა და შიგ მოწყობილობის კეთება დასრულდა. აფთიაქი ამ დღეებში გაიხსნება კიდეც.

ზესტაფონი

◆ მუშებსა და ინტელიგენტებს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნიათ ირაკლი (კაკი) წერეთლისათვის: „საუკეთესო იდეისთვის მებრძოლს. ხუთი წლის ტანჯვამ ვერ წაგვართვა შენი მშვენიერი სული, ჩვენი აზრი შენს გარშემო ტრიალებს, შენ ისევ ჩვენთან ხარ, გილოცავთ ჯანმრთელობას“.

დიდი ჯიხაიში

◆ ირ. წერეთლისათვის ინტელიგენტებს და მუშებს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნიათ: „თქვენი განთავისუფლების ამბავს სიხარულით შევეგებეთ. გიგზავნით ჩვენს სალამს და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს“.

სენაკი.

◆ **სენაკის ციხის უფროსი.** ტფ. პოლიციის უფროსი ზედამხედველი თავადი თუმანიშვილი სენაკის ციხის უფროსად დაინიშნა.

სოფლად.

◆ **სოფ. ყალამშა** (ბორჩალოს მაზრა). ერთი კვირის წინად ახლად გადმოსახლებულმა რუსებმა ისე სცემეს სოფ. ყალამშის მცხოვრებთ ალექსი და პავლე დეენოსაშვილებს, რომ ალექსი ეხლაც მძიმე ავადმყოფია. ცემის მიზეზი ისა ყოფილა, რომ დეენოსაშვილები შეშის მოსატანად წავიდნენ იმ ტყეში, რომლის მონაწილენი თითონაც არიან. 1910 წ. ეს მამული რუსეთის ახალმა სექტანტებმა „ნოვი იზრაილი“ წევრებმა იყიდეს, მაგრამ ესენი აქა მხოლოდ ორ წელიწადს იყვნენ და მერე ამერიკაში გადასახლდნენ. ვიდრე ისინი იყვნენ კარგი მეზობლობა ჰქონდათ ქართველებთან. არავითარი უთანხმოება არ მოსვლიათ. მას შემდეგ კი, რაც მამულები მართლ-მადიდებელ რუსების ხელში გადავიდა მუდმივი უთანხმოება.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

კიევი. ბეილისი სადამოს 10 საათზე განთავისუფლეს. ქუჩებში მღელვარებაა, აუარებელი მისალოცი დეპეშები მოდის. გუშ. მაკლაკოვი და კარაბჩევსკი გაემგზავრნენ.

დღიური

ენა, ტკბილად მოუბარი.

წარსულ კვირას ბავშვებისათვის საუცხოვოდ წარმოდგენილ „მელოტე პრინცში“ ერთი ადგილია, რომელიც უნებურად მოგაგონდება ადამიანს, ჩვენს მდგომარეობას რომ გადაავლებ თვალს. მოხუცი მეფის ასული სასაცილოდ აიგდებს სასიძო მთავრის მიერ საჩუქრად გამოგზავნილს ბულბულს: მეფის ქალი პრაქტიკულად უცქერის საქმეს—ბულბულის გალობა ვერაფერს შემძენს, მე სახრავი რამ მინდაო. ქართველები საზოგადოდ საჩუქრებს არა ვართ დაჩვეულნი, არა ვართ განებივრებულნი ამ მხრით; საჩუქარს ვინა სჩივის, ნეტავ ჩვენსას არ გვეღავებოდნენ, ჩვენსას არ გვართმევდნენ; მიცემას ვინ დაეძებს, იქით არ გვტაცებდნენ თორემ. მაგრამ იციან ჩვენი გულუბრყვილობა, შეუგნებლობა და დროგამოშვებით მეტის დასაბრიყვებლად, მოსატყუებლად, მეტის ასათვლელად და წასართმევად შორიდან ღიმილს გამოგვიგზავნიან, ჰაეროვანს კოცნას გვიძღვნიან, ბრჭყვიალა სათამაშოს შემოგვთავაზებენ, წითელს გულსაკრავს გვაჩუქებენ, ხელოვნურს საპავშო მგალობელს ჩიტს მოგვართმევენ და დიდს, დიდს გრძელს წერილსაც თან გამოაყოლებენ: ჩვენი გულები მარადის ერთს ჰანგზე სცემდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ბევრს უსიამოვნებას მივაყენებთ ხოლმე, მაინც განუყრელნი ერთის სულისა და გულის მეგობრები ვართო!

ჩვენც ხომ მყისვე გულზე ხელებს დავიკრეფთ, მუხლებზე დავეცემით, მეტის სიხარულისაგან კანკალს დავიწყებთ და თვალებზე ცრემლებიც კი მოგვადგება მადლობის ნიშნად. გულაჩუყებულნი ტირილს დავიწყებთ, ტირილს სულელურად და თავზე ნაცარს დავიყრით დანაშაულობის, ცოდვების მოსანანიებლად და თავს დავიწყევლით უმადურობისათვის, უპატივცემლობისათვის.

საცოდავნი ვართ, შესაბრალისნი, სატირალნი! კმაყოფილების გრძნობები გვათრობს მაშინ, არა გაგვაჩნია რა, აწმყო ჩვენი აგრე შავია, დღე ეგრე ულხინო და უიმედო და ბოროტის დაცინვის მეტი არა გვესმის რა ირგვლივ. ბულბულის სტვენა ვერ დაედება წამლად ჩვენის ერის იარებს და ლამაზი სიტყვები და ამბორი უკეთური ვერ გასწმენდს ჩვენს სხეულს. ღიმილი ცრუ ვერ გამოიყიდის ჩვენს ტანჯვას და შეურაცხყოფილს, დამცირებულს სულს ვერ ანუგეშებს ტკბილად მოუბარი ენა. ჩვენ არავინა გვცნობს ჩვენ ანგარიშს არავინ გვიწევს, ყურს არ გვიგდებენ, არარად გვთვლიან და ჩვენი ძახილის პასუხი მხოლოდ დუმილია, ჩვენი კვნესა უხმოა, ჩვენი ვედრება გაქვავებულია, ქირი უხილავია და ვაება გაუგებარი, უცნაური!..

ასე იყო გუშინ, ასეა დღეს. ასე იქნება ხვალ?

ყოველ დღე თვითეული ჩვენგანი ეკითხება თავის თავს, მაგრამ პასუხი არ არის. რა იქნება ხვალ? ვითარდება რუსეთის ცხოვრება და შეასუბუქებს ჩვენს ტვირთს, თუ მიუხედავად სახალხო წარმომადგენლობის აფრიალებულ დროშისა უკან-უკან იხევს? რომელი ბრძენი გვეტყვის ამას? რა ისახება ისტორიის წყვდიადში და რა რგოლებითაა გადაბმული იმპერიის საერთო ბედთან კერძოდ ჩვენი ქვეყნის მომავალი? ცხოვრებას დღენი ხელ-ნელა უხილავად იქცევა და ზედაპირი რომ ერთს ამბობს, შორს სიღრმეში სულ სხვა მზადდება. გუშინდელივით ამოდის დღესაც მზე, გუშინდელივით დავდივართ დღესაც, ვბაასობთ, ვმუშაობთ, მაგრამ სახე და გული ცხოვრებისა იგივე არ არის, დედამიწა ბრუნავს, დრონი მიდიან სისწრაფით და ჩამორჩენილები სამუდამოდ ჰქრებიან. სამყარო ჩვენს ბედს არ ემორჩილება, იგი მაღლაა და თუ არ ვეთვისეთ, გადიგვლახავს.

დღენი მირბიან, დროთა სრბოლა შეუჩერებელია და საჭიროა სიფხიზლე, სიფხიზლე და დიდი სიმხნევე, მდევური ძალა, გმირული ცნობა, რომ არავინ დაგვიბრიყვოს ქრელ-ქრელ სათამაშოებით, ხელოვნურის ბულბულის სტვენით. შევიგნოთ სავსება ჩვენის თვითარსებობისა და ვიყოთ შეუდრეკელნი, მტკიცენი, შეურყეველნი ჩვენის მიზნის მისაღწევად…

სიტყვა.

დეპუტატი ვ. გელოვანი სოფ. მაღლაკის, ფარცხანაყანევისა და ქვიტირის საზოგადოებებში.

24 ოქტომბერს ქუთაისიდან ნაშუადღევის მესამე საათზე სოფელ მაღლაკისკენ გავემგზავრეთ ხონის გზატკეცილით. მაღლაკის საზოგადოებაში დეპუტატს ხუთასამდე გლეხკაცობა ელოდებოდა. ხალხი აღტაცებით შეეგება დეპუტატს, აუხსნა თავისი თავ-გადასავალი და და ვალა: 1) იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა მიეცეს მათ სიმინდის დარიგების სახით ერთდროული დახმარება, ან და გრძელვადიანი სესხი, რომლის აკრეფა იც ხალხის მიერ არჩეულმა პირებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა და არა ადმინისტრაციამ; წელს ისინი გვალვის გამო ძლიერ დაზარალებულან, ნათესები მთლად ახმობით, თითოეულ კომლს ორი თვის სარჩო არ მოსვლია; 2) ვინაიდან მოუსავლობის გამო გლეხებს არავითარი გასაყიდი ოჯახში არ მოეპოებათ, სთხოვეს შუამდგომლობა უმაღლესი მთავრობის წ. ნ. შე, რათა ყოველივე სახელმწიფო გადასახადები მომავალ 1914 წლისა გადადებულ იქნას სხვა დროისათვის; 3) ხალხმა ერთხმად შესჩივლა დეპუტატს, რომ მთავარი მიზეზი მათი უკიდურესი სიღარიბისა უმეტეს წაწილად სარწყავი არხის უქონლობაა და სთხოვეს შუამდგომლობის აღძვრა უმაღლესი მთავრობის წინაშე, რათა მოუპოოს მათ ერთდროული დახმარება, ან გრძელვადიანი სესხი, რიონიდან სარწყავი არხის გასაყვანად, რომელსაც სამ წელიწადზე მეტია მეცადინობენ მეზობელ საზოგადოებებთან (ქვიტირსა და ფარცხანაყანევთან) ერთად. ამ არხების საშუალებით მოირწყვება ამ საზოგადოებათა მთელი მიწა სივრცით 900ა დესეტინაზე მეტი; გეგმა უკვე შემუშავებული აქვს ტფილისის წყლის მართველობას, მაგრამ ფულის უქონლობის გამო ვერ ახორციელებენ ამ დიდ საქმეს. 4) რამდენიმე გლეხისთვის ქუთაისის სახელმწიფო პალატას გადასახადი უკანონოთ შეუწერია. გლეხებს გაუსაჩივრებიათ პალატის დადგენილება, გადასახადისაგან გლეხები გაუთავისუფლებიათ, მხოლოდ გარდახდილი ფული, აგერ სამი წელიწადია, დღესაც არ მიუღიათ, რომლის ჯამიც ათას მანეთზე მეტია. სთხოვეს დეპუტატს იშუამდგომლოს მინისტრის წინაშე, რათა გლეხებს დაუბრუნდეს ის უკანონოდ გადახდილი ფული; 5) რამდენიმე გლეხმა შესჩივლა დეპუტატს, რომ ისინი გაჭირვების დროს სტოვებენ ოჯახს, ექვსი-შვიდი დღით ურმით მიდიან ქუთაისს და იქიდან ეზიდებიან საქონელს რაჭასა და ლეჩხუმში, ქალაქს გამგეობა თანაბრათ ნიადაგ ქალაქში მომუშავე მეურმეებისა თითო ურემზე მათ 13 მანეთს ახდევინებს წლიურად, და სთხოვეს რათა ქალაქის გამგეობამ გაათავისუფლოს ისინი ამგვარი უკანონო გადასახადისაგან; 6) ხალხმა აუხსნა დეპუტატს მღვდლებსა და მათ შორის ურთიერთობა; ერთმა გლეხთაგანმა განაცხადა: სახელმწიფო გადასახადს სამ აბაზს ვიხდი, მღვდელს დრამის ფულად ორ მანეთს ვაძლევ ყოველ გადასახადზე მეტს, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ რისთვისმე დამჭირდა მღვდელი, რასაც მოისურვებს, იმას მახდევინებს. ერთხმად სთხოვეს, რათა ამგვარი მღვდლების თავგასულობა შეკვეცილ იქნეს, იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რათა გლეხები მღვდლის დრამის ფულისაგან გაათავისუფლონ, მანამდი კი ეპისკოპოზმა მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება, რათა ყოველი ეკლესიის კარებზე გამოიკრას დადგენილება, ღვდელმოქმედებაში რა სასყიდელი გაიღოს ხალხმა მღვდლის სასარგებლოდ; 7) გლეხებმა თავის ჩამორჩენილობის მიზეზად სწავლის უქონლობა აღიარეს და სთხოვეს დეპუტატს, რათა მან ყოველივე ღონე იხმაროს სოფლად პირველდაწყებითი სკოლების გასავრცელებლად, რომ მათი შვილები სკოლის გარეშე არ რჩებოდნენ.

დეპუტატმა გულმოდგინეთ მოუსმინა საზოგადოებას ყოველივე, შეძლებისდაგვარად დახმარება აღუთქვა: „მე, ძმებო, უთხრა იმათ დეპუტატმა—მისთვის ვარ გაგზავნილი სათათბიროში, რათა ყოველი თქვენი ჭირვარამისა და სულისკვეთების გამომხატველი ვიყო, და რასაც შევსძლებ, ვეცდები ჯეროვანი დახმარება გაგიწიოთ. თქვენ თუ რომელიმე თანამდებობის მოხელემ რაიმე უკანონო შევიწროება მოგაყენოს, მაცნობეთ პეტერბურგში, მომაწვდინეთ ნამდვილი უტყუარი ცნობები და მე ყოველთვის თქვენი მოსარჩლე ვიქნები ყოველს კეთილ საქმეში. დასასრულ საზოგადოებას ესაუბრა აქ. ტყეშელაშვილი წლის არხის გაყვანის მნიშვნელობაზე. მან ნათლად დაუსახა საზოგადოებას არხის მნიშვნელობა, სთხოვა ხალხს—იმოქმედონ ამ დიად კეთილ საშვილიშვილო საქმეში ერთსულოვნად, აირჩიონ თავის შორის სანდო, ენერგიის კაცები, და თითონაც ამ საქმეში საზოგადოებას ყოველი დახმარების სურვილი აღუთქვა. მადლობის ღირსია ბატ. ტყეშელაშვილი, რომელიც ძალღონეს არ ზოგავს ამ საქმის განსახორციელებლად. ხალხი გამოემშვიდობა დეპუტატს, მადლობა უძღვნა და კეთილი და ნაყოფიერი შრომა უსურვა თავისი ერის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ. გლეხმა კოსტა ხაზარაძემ საზოგადოების მხრივ დეპუტატს მოახსენა: ეს დღე ჩვენთვის სამახსოვროდ დარჩება, ვინაიდან სათათბირო კარგი ხანია არსებობს, დეპუტატები თქვენს გარდა სხვებიც ავარჩიეთ, მაგრამ არც ერთ მათგანს თავი არ შეუწუხებია ჩვენი მდგომარეობის გასაგებად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქუთაისთან ძლიერ ახლოს ვართ.

ხუთის ნახევარზე გამოვემშვიდობეთ მაღლაკის საზოგადოებას, და გავემგზავრეთ ფარცხანაყანევის საზოგადოებისკენ; „იმერეთი“

მუშათა ცხოვრება

მებულკეთა გაფიცვა. პეტერბურგში მებულკეთა გაფიცვა დასრულდა. მუშების ნაწილმა ანგარიში აიღო, ნაწილმაც ძველ პირობებში დაიწყო მუშაობა. ფილიპოვის ცენტრალურ საკონდიტროში 120 მუშა გაიფიცა. ყველა მათ ანგარიში გაუსწორეს და დაითხოვეს. მათ ადგილას ახალი მუშები არ მუშაობენ.

გაზის ქარხანაში პეტერბურგში გაფიცვა გრძელდება. მუშების მაგიერ ჯარის-კაცებს ამუშავებენ. მუქარა, რომ ახალ მუშებს ვამუშავებთო, ქარხნის მეპატრონეებმა ჯერ ვერ შეასრულეს.

სათათბიროს მუშათა კომისიას თავმჯდომარებას თავი გაანება კონოვალოვმა. მის მაგიერ როსტოვცოვი აირჩიეს.

ქუთაისი.

ქუთაისის სასანიტარო მუშებმა გუშინ ქალაქის გამგეობას ეკონომიური მოთხოვნილებები წარუდგინეს.

უცხოეთი

ირლანდიის საკითხი და მეფე.

უკანასკნელ დღეებში ირლანდიის საკითხის გამო პარტიების შესაძლო შეთანხმების საკითხი კვლავ სერიოზულ მსჯელობას იწვევს ინგლისის პრესაში, როგორც მთავრობისა ისე ოპოზიციონურში, ზოგიერთი გაზეთი ამტკიცებს, რომ ფაქტიურად კაბინეტსა და ოპოზიციის წინამძღოლთა შორის უკვე მოლაპარაკება ხდება, თუმცა მას პირადი ხასიათი არ აქვს. მოლაპარაკების ინიციატორად ვითომც მეფე გიორგი მეხუთეა, რომლის რჩევითაც პრემიერმა ამ საკითხის შესახებ უკვე შეიმუშავა მემორანდუმი კაბინეტის გამორჩეულ წევრთან ერთად. ასეთივე მემორანდუმი შედგენილი იყო ლენსდოუნისა და ბონარ-ლოუს მიერ. მეფის შემწეობით პირველი მემორანდუმი შემდეგში ოპოზიციის წინამძღოლებს გადაეცათ, მეორე კი—პრემიერს. ამრიგად ერთმაცა და მეორე ჯგუფმაც წარადგინეს მოსაზრებანი მოწინააღმდეგეების მხრივ შესაძლო დათმობის შესახებ. მემორანდუმები, რასაკვირველია, არ წარმოადგენენ ოფიციალურ საბუთებს, რომელიც შებოჭავს მთავრობას ან ოპოზიას მომავალ მოქმედების დროს.

ძნელი სათქმელია, თუ რამდენად შესაძლოა კომპრომისი ეხლანდელ გარემოებაში, მაგრამ უკანასკნელ ხანებში წარმოთქმულ ზოგიერთ სიტყვის კილოს, ჰომრულის შესახებ, ემჩნევა დარბილება პარტიების ურთიერთ დამოკიდებულებისა. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა გრეის მიერ 14 ოქტომბერს წარმოთქმული სიტყვა. გრეიმ, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შესაძლო დათმობის პირობები უკვე აღნიშნულია ასკვიტის მიერ ცოტა ხნის წინად წარმოთქმულ სიტყვაში და რომ მას არ შეუძლია ამ პირობების ფარგლიდან გასვლა. მაგრამ შემდეგ იგი უფრო შორს წავიდა და განიხილა მთელი რიგი განზრახულ შეთანხმების გეგმებისა. ჩერჩილმა წინადადება შეიტანა, ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლსტერიდან თუნდაც დროებით გამოიყოს ოთხი საგრაფო. ჩერჩილის წინადადებას გრეი გადაჭრით წინააღუდგა. ამ წინადადების შესახებ მან ის აზრი გამოსთქვა, რომ გეგმის შესრულება სრულებით შეუძლებელია პრაქტიკულადო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლოა ფართო დათმობანი ოლსტერლებისათვისაო: „რისი შიში აქვს ოლსტერს? ბილის შეცვლაში მთავრობა მზად არის შორს წავიდეს, მხოლოდ შეუძლებლად კი გახადოს ის, რაც ოლსტერს შიშს უბადებს. იგი არ დასთანხმდება მხოლოდ ბილის შეჩერებაზე და მოსპობაზე. ამბობენ, რომ ოლსტერის წინააღმდეგობას საფუძვლად უდევს რელიგიურ უთანხმოების შიში. განა იმისა ეშინია ოლსტერს, რომ ირლანდიის მთავრობის ხელში სწავლა-განათლების საქმეს სპეციფიურ-რელიგიური ხასიათი მიეცემა? ეშინია იმისა, რომ პროტესტანტების ოლქებში კათოლიკების პოლიცია იქნება, რომ ყველა თანამდებობა კათოლიკების მიერ იქნება დაჭერილი? თუ ოლსტერის შიში ამგვარია, მაშინ განაცხადოს მან ეს და ბილში შესწორებანი იქნება შეტანილი, რომელიც ასეთ ბოროტმოქმედებას შეუძლებლად გახდის. ირლანდიის ერთი ნაწილისათვის ამ სფეროში ავტონომიის მინიჭება სრულიადაც არ დაარღვევს მის მთლიანობას. **ეს იქნება ჰომრული ჰომრულში“-ო.** დასასრულ გრეიმ განმარტა, რომ ასეთი დათმობა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ შეცვლილ ბილს ორივე მხარე მიიღებს. თუ კი აღმოჩნდა, რომ შეთანხმების განხორციელება შეუძლებელია, მაშინ მთავრობა არაფერს არ შეუშინდება, რათა საქმე ბოლომდე მიიყვანოსო.

შეუძლებლად მიაჩნია სოლიდარობა იმ დრომდე, სანამ ხიდი ჩატეხილია. ამის საუკეთესო მაგალითი ხომ გიორგის ტრაღიკული სიყვარულია. იმ დრომდე, სანამ, სოციალური უსამართლობის წყალობით, ერთი ნაწილი მეორე ნაწილისაგან დაშორებულია, მათ შორის სიყვარულიც შეუძლებელია. იქ, სადაც სიყვარული არ არის, არც ერთმანეთის გაგებაა, არც დანდობა და პატივისცემა. იქ მხოლოდ ბრძოლა და ურთიერთისადმი მტრობაა. რახან ილია ჭავჭავაძე ამას ჰხედავდა, ცხადია, ვერც იმას იფიქრებდა, რომ ცხოვრების პირობების შეუცვლელად შესაძლებელი გაჰხდება თანხმობის დამყარება მოპირდაპირე ჯგუფთა შორის. ეს ილიუზია იქნებოდა, და ადამიანი, რომელმაც გასაოცარის სიცხადით დაინახა წოდებათა შორის აღმართული უფსკრული, ასეთს ილიუზებს ვერ შექმნიდა. ილია ჭავჭავაძეს არც შეუქმნია ასეთი ილიუზია. პირიქით, დიდი სევდა და კაეშანი სწორედ იმიტომ არის ჩაქსოვილი „ოთარაანთ ქვრივში“, რომ ავტორი ულმობელ სინამდვილეს ხედავდა და არავითარ ილიუზებს არ ეძლეოდა.

ილია ჭავჭავაძე წოდებათა შორის აღმართულ უფსკრულსა ჰხედავდა, რომ მათ შორის ხიდი იყო ჩატეხილი, ხედავდა, რომ იგი ორი სხვა და სხვა ქვეყანა იყო, მაგრამ ამასთანავე ერთად დარწმუნებული იყო, რომ ასეთი მდგომარეობა საბოლოვო არ არის. ერთხელაც არის მათ შორის ხიდი უნდა გაიდოს. მაგრამ როგორ? რანაირის საშუალებით? წარჩინებული წოდება გადაგვარებულია, მოკლებულია, სასიცოცხლო ძალას აი, როგორ ახასიათებს ილია ორ მოპირდაპირე წოდებას:

„ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით მქერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება—ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ დონდლონი, დუნენი.. იმათთვის ძილი მართალი მოსვენებაა, მართალი აღდგენაა დახარჯულის ღონისა, ჩვენთვის კი ნებიერობაა, ღონის გასიებაა, დამძიმებაა, წყალ-მანკია, იმიტომ რომ ჩვენი ღვიძილიც ძილია. იმათი ცოცხალი ნახევარი ავად თუ კარგად მაინც ჰსაქმობს და ჩვენი კი უქმია.“ ან კიდევ: „იქა ჰღუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიცა. რაც სთქვი, ეგ ჭუჭყია, ქაფია მდუღარე ცხოვრებისა, თავზე მოგდებული. ძირში კი წმინდაა. მაშ რა სწნავს იმისთანა კაცურ-კაცს, როგორც გიორგი იყო, ან იმისთანა კაცურ-კაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თორნეში-ღა ჰცხვება, ჩვენი თორნე კი მარტო ჩვენისთანა კუტ-პურს აცხობს“. იგი დარწმუნებულია, რომ ხალხის გულის სიღრმეშია დამარხული სასიცოცხლო ძალა, მხოლოდ იქ არის დაფარული ჯან-საღი ელემენტი. ამ ჟამად დაავადებულია გლეხ-კაციც და აზნაურიც. „ცალ-თვალა და ცალ-ყურა ნახევრათღა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს..“ ეუბნება არჩილი კესოს. პიროვნება განპობილია, დარღვეულია შინაგანი სულიერი მთლიანობა. დიდი უბედურება იქნებოდა, ხსნა რომ არსადა ყოფილიყო. მაგრამ ილია ჭავჭავაძეს იმედი აქვს ხსნისა, რადგანაც ხალხის გულის სიღრმეში დამარხული არის დაუშრეტელი წყარო სიცოცხლისა, იქ არის დაცული „ღონე შექმნისა“. ეს არის წმინდა წყლის, დამთავრებული დემოკრატიზმი. ილია ჭავჭავაძე მთელ თავის იმედებს ხალხის შემოქმედებითი ძალაზე ამყარებს, ჰსწამს კიდეც, რომ იგი თავის ეხლანდელ მდგომარეობას თავს დააღწევს,—და სწორედ ამაზე ამბობენ, „ოთარაანთ ქვრივში“ ილია ჭავჭავაძემ დემოკრატიზმს უღალატაო. შევიბრალოთ ილია, რომელმაც მხატვრული ნიჭი და სპეტაკი გრძნობა ხალხის სიყვარულით დასხეულებულ ადამიანისა ასეთის გატაცებით ჩააწნა თავის ნაწარმოებს.

⁂

ილია ჭავჭავაძე „ოთარაანთ ქვრივში“ წოდებათა სოლიდარობას არა ჰქადაგებს. იგი მხოლოდ საკითხსა ჰსვამს: შესაძლებელია თუ არა სიყვარული ორ ისეთს პიროვნების შორის, რომელნიც სხვა და სხვა სოციალურ ჯგუფს ეკუთვნიან? თავის ნაწარმოებით იგი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ დღევანდელი სოციალური პირობები ისეთს უფსკრულსა სთხრიან ადამიანთა შორის, რომ შეკავშირება გლეხისა და აზნაურის ქალისა შეუძლებელი ჰხდება. ეს უარყოფითი მოვლენაა და, როგორც ასეთი, უნდა მოისპოს მოისპობა იგი მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხში დაგუბებული სასიცოცხლო ძალა გაიშლება და შეიქმნება მთლიანი პიროვნება. მაშინ ჩატეხილი ხიდიც გამთელდება. ცხადია, თუ დღევანდელი სოციალური პირობები უცვლელად დარჩა, უფსკრულიც ამოუვსებელი დარჩება და ხიდიც ვერ გაიდება. ჩატეხილი ხიდის გასამთელებლად საჭიროა. მთლიანი პიროვნება და მთლიანი პიროვნება კი მხოლოდ ხალხს შეუძლიან წარმოშობოს თავის გულის სიღრმიდან. ასეთია აზროვნება ილია ჭავჭავაძისა. მას საჭიროდ მიაჩნია ჩატეხილი ხიდის გამთელება, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს იგი ვერა ჰხედავდეს იმას, რასაც, ვსთქვათ, მ. წულუკიძე ჰხედავს. ილია ჭავჭავაძე ძალიან კარგად ჰხედავს, რომ ხიდის გასადებად აუცილებლად საჭიროა ერთი პირობა: აღდგენა დარღვეული პიროვნების მთლიანობისა. ეს კი დღევანდელს პირობებში შეუძლებელია თვით ილია ჭავჭავაძის აზრითაც. გლეხკაცობაში, ხალხში დაფარული არის „ღონე შექმნისა“, რომელიც სწორე გზაზე გამოიყვანს მას და შესაძლებლად გაჰხდის საყოველთაო ბედნიერებას. მაშინ ხიდიც გამთელდება, მაგრამ რა აქვს საერთო ამ „გამთელებას“ იმასთან, რასაც აწერენ ილიას მისი ახლად მოვლენილი კრიტიკოსები? სრულიად არაფერი. არც კლასთა ბრძოლა და არც წოდებათა ანტაგონიზმი თავის თავად მიზანს არ შეადგენს. ილია ჭავჭავაძეზე ვერ ვიტყვით, წოდებათა ბრძოლას უარ-ჰყოფსო, რადგანაც თვით ჰხედავს, რომ მათ შორის ხიდია ჩატეხილი. მაგრამ დიდი სურვილი კი აქვს ამ ბრძოლას ბოლო მოეღოს; მხოლოდ არა საკუთარი ინტერესების დავიწყების საშუალებით, არამედ განკაცების, ცხოვრების ახალი პირობების დამყარების საშუალებით. ილია ჭავჭავაძე სოციოლოგიურ ტრაქტატს არა სწერდა, რომ დაწვრილებით ჩამოეთვალა, რანაირ სოციალურ ცვლილებათა მოხდენა მიაჩნია საჭიროდ ამ მიზნის მისაღწევად, მაგრამ მხატვრულის სურათებით მანც გვაგრძნობინა, რომ წყარო განახლებისა თვით ხალხში უნდა ვეძებოთ. განა ეს არის დემოკრატიზმის ღალატი? განა ეს არის წოდებათა შორის სოლიდარობის ქადაგება? ეს არის მხოლოდ სურვილი კლასიური და წოდებრივი უთანასწორობის მოსპობისა, სურვილი პიროვნების დამამახინჯებელ პირობათა მოსპობისა. ამას კი ილია ჭავჭავაძეს დანაშაულობად მხოლოდ ის ჩაუთვლის, ვისაც „ოთარაანთ ქვრივი“ ან არ წაუკითხავს, ან წაუკითხავს, მაგრამ მაინც ვერაფერი გაუგია, რადგანაც მხატვრული ნაწარმოების გაგების უნარი არა ჰქონია.

„ოთარაანთ-ქვრივი“ დემოკრატიზმის აპოლოგიაა და ბეცმა კრიტიკოსებმა სწორედ ამ ნაწარმოებში დაინახეს დემოკრატიზმის ღალატი. მოდი და ნუ გაგეცინება!..

არ. ჯ—შვილი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

ვ. აბაშიძის ბენეფისი გაიმართება დღეს, 31 ოქტომბერს, ქართულ თეატრში. დამსახურებულ მსახიობს საბენეფისოდ ამოურჩევია ვ. შალიკაშვილის ახალი ორიგინალური სამ მოქმედებიანი შარჟი „მოსაქმე ბიუროკრატნი". გარდა ამისა წარმოდგენილი იქნება ოფენბახის ოპერეტა „მეჯლისი იტალიელებითურთ", რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ტ. აბაშიძის ასული, ა. იმედაშვილი და სხვანი.

ილიას საღამო ქუთაისში.

კვირას, 27 ოქტომბერს, ქალაქის თეატრში გაიმართა ილიას ჩვეულებრივი საღამო. სამშობლოს უკვდავი მოჭირნახულის ხსოვნამ ეხლაც აუარებელ საზოგადოებას მოუყარა თავი: მიუხედავად მომატებული ფასებისა, თეატრში ტევა აღარ იყო.

საღამო დაიწყო ილიას ძეგლის ჩვენებით, რომელიც საუცხოვოდაა გადაღებული. ვარდ-ყვავილებით შემკულს ილიას დიდ სურათს მოკლე, მაგრამ მეტად მგრძნობიარე სიტყვით მიმართა კიტა აბაშიძემ, რომელმაც ერთხელ კიდევ შეაშფოთა ქართველის ოდნავ მიყუჩებული სინიდისი და აგრძნობინა მის გულს, თუ რა ველურობა, რა უმაგალითო საზიზღრობა ჩაიდინა მან, მისმა ნაძირალებმა, საქართველოს მე-19 საუკუნის საუკეთესო მამულიშვილის ვერაგული მკვლელობით; მან ერთხელ კიდევ გადახადა ფარდა წინამურის ტრაგედიას და დაგვანახვა მგოსნის მადლიანი შუბლიდან გადმონთხეული ტვინი და ტყვიით განგმირული მოსიყვარულე გულიდან გადმომჩქეფარე სისხლი.

ილიკო ქურხულის კონცერტს ძლიერ შეუშალა ხელი პეტერბურგის განაპირა უბნის მიზანცენის მეტად უხერხულად დადგმამ. ახალგაზდა მემუსიკეს საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება.

საზოგადოდ კარგად იქმნა წარმოდგენილი სცენები „კაცია ადამიანიდან". პირდაპირ შეუდარებელი იყო ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა დარეჯანის როლში.

მოხდენილად შეასრულა მეფისტოფელის არია ახალგაზდა მომღერალმა ვარდენ ლორთქიფანიძემ. Bis-ზე მან შეასრულა რამდენიმე ქართული რომანსი, რითაც მეტად ასიამოვნა საზოგადოება და ჯილდოთ მიიღო დაუსრულებელი ტაში და ვაშა. ბ-ნს ლორთქიფანიძეს თანდათანობით ეტყობა ხმის მოქნა და დამუშავება; სცენაზედაც თავი უფრო თავისუფლად უჭირავს, ვიდრე წინად. სასურველია, რომ ჩვენმა საქველ-მოქმედო საზოგადოებებმა და კერძო ქველმოქმედებმა ყურადღება მიაქციონ ამ ნივთიერად ხელ-მოკლე ყმაწვილს და მისცენ გზა ფართო მის უეჭველ ნიჭს.

ბ-ნმა კოპელნიცკიმ მშვენივრათ შეასრულა რამდენიმე ნომერი ვიოლონზე. ქ-ნმა ელენე ხელთუფლიშვილის ასულმა წაიკითხა ილიას „დედაო ღვთისავ" და სხ.

რაღაც მიზეზის გამო, ადგილობრივ ქართველ მომღერალმა საზოგადოების გუნდმა საღამოში მონაწილეობა არ მიიღო, რითაც ძლიერ უკმაყოფილო დარჩა დამსწრე საზოგადოება. **ისარა:**

ბაქო. 27 ოქტომბრის წარმოდგენამ ძალიან სუსტად ჩაიარა. მსახიობებმა როლები არ იცოდნენ და ამასთანავე მეტად ზანტად და უგულოდ თამაშობდნენ. რეპლიკებს აგვიანებდნენ და სცენაზე ბევრჯელ უხერხული პაუზები იყო გამეფებული. დასსულ არ ეტყობოდა მომზადება და ეს კი რეჟისორს უნდა ესაყვედუროს. ამ დღეს წარმოადგინეს პროტოპოპოვის პიესა „ცხოვრების გარეშე". წარმოდგენის სისუსტის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ კვირა დილით მოულოდნელად ავად გახდა აწყურელი, რომელსაც იაობის როლი უნდა შეესრულებია. სცენისმოყვარე, რომელიც იმის მაგიერ გამოვიდა, სრულიად ხამი და მოუმზადებელი იყო; ამიტომ იმ სცენებს, სადაც ის იღებდა მონაწილეობას, შნო და ლაზათი დაეკარგა. რიგიანად ჩაიარა მხოლოდ უკანასკნელმა მოქმედებამ ც. ამირეჯიბის (პოლია) და ა. ახობაძის (ოსიპ) წყალობით. საზოგადოდ ამ საღამოთი ამ ორმა მოთამაშემ თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულა. ა. ახობაძემ სცენისმოყვარისთვის იშვიათის დაკვირვებით და ხელოვნებით ჩაატარა ოსიპის როლი.

კვირას, 3 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება ქანტურიშვილის ორიგინალური პიესა „მორევში".

გორი. შაბათს, 2 ნოემბერს, გორის საკრებულოს დარბაზში, მგოსან **აკაკი წერეთლის** მონაწილეობით გაიმართება, **სალიტერატურო-სამუსიკო საღამო.** მონაწილეობენ აგრეთვე, ს. დადიანი, ვ. ურუშაძე, მომღერალი დ. აკოფაშვილი, ქ. თამ. ღვინიაშვილი, ს. ფაშალიშვილი, გ. ქუჩიშვილი, და მომღერალთა გუნდი ე. ხუციშვილის ლოტბარობით.

დ. ჭიათურა. კვირას, 27 ოქტომბერს, **ილიას** დაბადების დღის აღსანიშნავად, ადგილობრივმა დრამატიულმა საზოგადოებამ გამართა ილიას საღამო.

მიუხედავად იმისა, რომ ილიას პატივსაცემლად გამართული საღამო მოკლე და სუსტი პროგრამანი იყო. მაინც დიდად სასარგებლო და სასიამოვნოა მისი მოწყობა, რადგან ხალხს ესაჭიროება ასეთი სალიტერატურო საღამოები. საღამო დაიწყო ილიას „დედა და შვილის" წარმოდგენით. სამწუხაროდ ეს საუცხოვო დრამა ძლიერ სუსტად ჩაატარეს. მეორე განყოფილებაში ითამაშეს, ილიას „სცენები მომრიგებელ მოსამართლესთან". სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ეს „სცენები" საუცხოვოდ ჩაატარეს. აქ ყველანი ხელს უწყობდნენ ანსამბლს. აღმოსავლეთელი ქართველების კილო და მიხვრა-მოხვრაც ძლიერ კარგად შეესწავლათ სცენის-მოყვარეებს, გარდა გ. აბდუშელისა.

კარგი იყო ქ. ქილარჯიშვილი აზნაურის ქვრივის როლში.

მესამე განყოფილებაში: აპოთეოზი და დივერტისმენტი სუსტი გამოდგა

საღამოს ბევრი ხალხი დაესწრო.

იტი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

30 ოქტომბერი.

უცხოეთი.

ლონდონი. მანჩესტერში დაიწვა ალექსანდრეს სახელობის ბაღი, ფრენჩშიაც დაიწვა სახლი. ყველაფერი სუფრაჟისტების საქმეა.

ვაშინგტონი. ბრაიანმა განუცხადა მექსიკის წარმომადგენელს, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ვერ დაადასტურებს მექსიკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნებსო.

ტოკიო. ხმებია, იაპონიამ მეექვსე რკინის გზის გაყვანის უფლება მიიღოო. ეს გზა მუკდენამდე იქნება გაყვანილიო.

პარიზი. კოკოვცევს პუანკარემ საუზმე გაუმართა. საუზმეს დაესწრნენ მინისტრები და რუსეთის ელჩი.

ვაჭრობის მინისტრმა წინადადება შეიტანა მინისტრთა საბჭოში მეტრიული ზომა იქმნეს შემოღებული სინათლისა, სითბოსა და დროს აღსანიშნავად.

სტამბოლი. დელეგატი სავოვი 28 ოქტომბერს საჩქაროდ სოფია'ში დაბრუნდება.

სოფია. მუნიციპალური არჩევნების დროს მთავრობის პარტიამ გაიმარჯვა.

რუსეთი.

პეტერბურგი. სერბიამ და ბულგარეთმა მიმართეს რუსეთს, შუამდგომლობა გასწიოს მათ შორის პალაელის მთის მიდამოებში საზღვრების აღნიშვნაში, რადგან სერბიასა და ბულგარეთს უთანხმოება მოსდით. არბიტრად დაინიშნა გენერალ-მაიორი ხოლმსონი.

სენატის განმარტებით რომელიმე მხარეში განსაკუთრებულ წესების გაუქმების შემდეგ, სამხედრო სასამართლოში არ მიიცემიან ის დამნაშავენი, რომელნიც განსაკუთრებულ წესების გაუქმების შემდეგ იქმნენ დატუსაღებულნი. ხოლო თუ ერთი განსაკუთრებული წესი მეორე განსაკუთრებულ წესად შეიცვალა და ამასთან უკანასკნელი ჩვეულებრივ კანონებს ძლიერ კვეცავს, მაშინ დამნაშავე პირველის განსაკუთრებულის წესით უნდა გასამართლდეს.

ქალაქის გამგეობის საავადმყოფოთა კასის გამგეობამ გადასწყვიტა— შეიძინოს ერთი გრამი რადიისა კუს საწამლებლად. ამ მიზნით გადასდო ორასი ათასი მანეთი; აგრეთვე დაადგინა: იშუამდგომლოს, რათა მთავრობა შეეცადოს, რუსეთში რადიის საპოვნელად ორგანიზაცია მოაწყოს.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

ვარდის ფერი ბროლის საპონი.

ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ხავერდისებრ რბილი და ჩვილი ხდება ნამდვილი მხოლოდ მე— „№ 4711".

ნაჭერი 25 კ.

ერთად-ერთი ფაბრიკა: ფერდ. მიულჰენსისა.

1506 პარფიუმერია კელნი, რიგა.

Метцль. 35796

САСАНИТАРО

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 პ. ფომინა-ახიპოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ი. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზეპირად დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ლუხრაძის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკასია" ნომრები იყო, გაიღო

საოჯახო ნომრები

შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეული სულ ახალია ნომრები ღირს: 60 კ—დან 1 მანეთამდე.

თვიურებს დიდი შეღავათი. 1552

—✦ პარიჟის სულ უკანასკნელი ✦—
ახალი ფასონები
კორსეტების
ვენის საკორსეტო ფაბრიკის სახელოსნოში
ვ. ა. ლევინი.
ტფილისი, ვერის ქუჩის კუთხე.
1168

ა. კივიტ. ამზადებს **სიმწიფის მოწმობისათვის, სამხედრო სასწავლებელში,** 1 ხარისხის ვოლნოოპრედელიაიუშჩის გამოცდისათვის და საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის. შეთანხმების მიხედვით **პირობას ვაძლევ გამოცდის ხასურველ შედეგების შესახებ.** ნახვა შეიძლება: დილით 12—1 საათამდე და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩ., სახ. № 142 (პიროგოვის ქუჩის კუთხე). 1540

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606" და „914"

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი აბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1001



1523

ამერიკულ ვაზის სანერგე

კლო-ჯგურული

ქუთაისში.

ერთად-ერთია, რომელიც სხვა და სხვა ნიადაგზე და სხვა და სხვა ძირზე იმყნება. 1913—14 წ. გვაქვს გასაყიდად 35,000 წოლიკაური, 4,000 კრახუნა. 22,000 ციცქა, 12,000 ანდასაური, 10,000 მწვანე, 32,000 რქა-წითელი, 35,000 საფერავი, 12,000 გალობიშავი, 8,000 ოცხანაური, 25,000 ალიგოტე, 8,000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიენი, 42,000 კაბერნე, 20,000 პოლ-ბლანში, 15,000 გრანნუარი, 28,000 განე თეთრი და შავი და 80,000 მეტი საუკეთესო ჯიშის ნამყენი **რუპერსის** დიულო 3309, 101, 14, 1202 და 420 A—65 მან. 1,000 ცალი სავინე ჯიშისა და 80 მან. 1,000სამეფო ჯიშისა.

ადრესი: წერილებისა და დეპეშებისთვის: **კლო-ჯგურული, ქუთაისი.** 665

მოითხოვეთ ყველგან

ОПТОВЫЙ СКЛАДЪ
ТОРГОВАЯ МАРКА
КАВКАЗСКАГО Т-ВА
САМОЙ
УСОВЕРШЕНСТВОВАН. ВЫСШЕЙ
ОЧИСТКИ
ВИНА И СПИРТА
ВЪ ТИФЛИСѢ
Столовое Вино
№ 21

მთავარი კანტორა და საწყობი

ვოკზლის ქუჩა № 2 რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
ტელეფონი № 14/68.

1512

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ПРОФ. Н. МАРРЪ:

Житье св. Григорія Хандзиійскаго	—3 მ.
Древнегрузинскіе одописцы	— —3 მ, —
Вступительныя и заключительныя строфы Витязя въ Барсовой кожѣ	1 მ. 25 კ.
Антіохъ Стратигъ, плѣненіе Іерусалима персами въ 614 г.	— — —2 მ.
Критика и мелкія статьи кн. V	—75 კ.
Физіологъ. Армяно-грузинскій изводъ	— — — —2 მ.
Основныя таблицы къ грамматикѣ древне-грузин. языка	— — —5 მ.
Кавказъ и памятн. духов. культуры	20 კ.
Исторія грузіи (культ. истор набросокъ)	— — — —25 კ.
Изъ поѣздокъ въ Сванію	— — —30 კ.
Изъ лингвистическ. поѣздки въ Абхазію	— — — —50 კ.
Къ вопросу о задачахъ армяно-вѣд,	5 კ.
Ефремъ Сиринъ. О дняхъ празд. рождества, объ основ. перв церквей въ Іерусалимѣ	—75 კ.
Іос. Аримаѳейскій. Сказаніе о построеніи первой церкви въ г. Лиддѣ (груз. текстъ)	— — —1 მ.
Ипполитъ, толкованіе пѣсни пѣсней груз. текстъ X вѣки	— — —2 მ.

ახლად მიღებული წიგნები:

ჩვენი ახალ თაობის უკულმართი ცხოვრების ძირითადი მიზეზები ნ. თავდგირიძისა	— — —20 კ.
ბაში-აჩუკი აკაკისა	— — —30 კ.
როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოებდეს წვრილი კრედიტის დაწესებულება ა. კახელიძისა	— —10 კ.
ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე) ალ. ხახანაშვილისა	— — — —1 მ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

მთელს დედა-მიწაზე საუკეთესო

გრამო- ფონებს

„იაკორ"-ს

ჭუიდის საფაბრიკო მაღაზია
გრამოფონებისა

გ. ს.
დავიდოვისა.

ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა შეიძლება.

გოლოვინის პროსპ., № 6, საკრებულოს ქვეშ.

1531

წლიწადი მე-20-ე.

კ. თავართქილაძის მიერ შედგენილი

კედლის კალენდარი

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად. **კალენდარი საგანგებო-შევსებული და შესწორებულია მრავალი ცნობებით.**

კალენდრის დაკვეთა შეიძლება შემდეგის მისამართით: ტფილისი, სათეატრო შესახვევი, № 7, სტამბა, **კ. თავართქილაძეს,** ან წყნეთის ქუჩა № 29, **გრიგოლ ბურჭულაძეს.** იქვე შეიძლება პატარა

„საყოველთაო კალენდრის"

ყიდვა ძლიერ იაფ ფასებში. 1563

კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წარმომადგენელი

დ. გ. ამინთაევის

სპარსული და კავკასიური მაღაზია

ტფილისი, კირკის ქუჩა, № 19. ტელეფონი № 15—82.

დიდი არჩევანი: ყოველნაირ ხალიჩებისა, ფალასისა, კრაველისა, სპარსული აბრეშუმის ნაირი საბნებისა, მანდილებისა და მატერიისა, ნაბდებისა, ფეხსაცმელებისა, ვერცხლეულობისა, სპზაო ნივთებისა: ფაფახები, ყაბალახები, აზიური შალები; ძველი ანტიური ნივთები და სხვა. შეიძლება ნახმარი ხალიჩების ყიდვა და აგრეთვე ძველი ხალიჩის ახალში გაცვლა.

ფასები ზომიერია

ფირმა არსებობს 1870 წლიდან. საწყობი ზუბალაშვილის ქარვასლაში. 1551

მივიღეთ ცივადი-მატარებლით

პეტერბურგიდან

ამურის **წითელი ხიზილალა** |კეტოვი|, **სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.**

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძმველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

აგრეთვე იყიდება მაილოვის

ხიზილალა

კოლოფით ❦ ხმელი სოკო. 1500

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".